ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2578486

ნომერი: AR1400403

თარიღი : 26.04.2016

გაცემის თარიღი : 04.05.2016

გაცნობის თარიღი : 04.05.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , რკინიგზის ცენტრალური ვაგზალი, ნაკვ.05/107 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ბესიკ ქავჟარაძე პ/ნ 01025020043
- ქ. თბილისი, ნ. რამიშვილი 2

ორგანიზაცია:
- თეიქ დ კოდი: 445482816

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წესდების დამტკიცების შესახებ ”ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის #20-104 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) თანახმად, სამსახურის უფლებამოსილებაში შედის ქალაქის ფუნქციური ელემენტების განვითარების პროცესების მოდელირება, ურბანული ქსოვილის ცალკეული მახასიათებლების ანალიზი, საპროექტო ვარიანტების და მიღებული გადაწყვეტილებების შეფასება. ასევე, ამავე დადგენილების მე-3 მუხლის “გ” პუნქტის თანახმად სამსახურის ერთ-ერთ ფუნქციას განეკუთვნება ქ. თბილისის ტერიტორიულ-სივრცითი მოწყობის პოლიტიკის რეალიზაციისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის დამუშავება, მათში ცვლილებების შეტანა და დადგენილი წესით მათი დამტკიცება, გარდა ამისა, ამავე დებულების შესაბამისად, სამსახურის კომპეტენციას წარმოადგენს ქალაქის მშენებლობისა და კეთილმოწყობის რეგულირება, სამსახურს თავისი ფუნქციების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით უფლება აქვს განიხილოს შენობა-ნაგებობების ექსტერიერებისა და ინტერიერების პროექტები, მოახდინოს ფერთა შეთანხმება, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა უარი უთხრას განმცახდებელს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.